

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მიწას, როგორც უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო რესურსს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიწის მართვის ეფექტური პოლიტიკის განსაზღვრა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კერძო და სახელმწიფო ინტერესების დაცვა, საბაზრო ეკონომიკის ნაყოფიერი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება და მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე მიღებულია ორი მოსმენით, მიწას განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო რესურსად აღიარებს და მისი დაცვის მაღალ სტანდარტებს ადგენს. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების რეგულირება გათვალისწინებული იქნება ორგანული კანონით.

შესაბამისად, სწორედ ამ ორგანულ კანონში უნდა იქნეს გაწერილი ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებიც დღეს მოქმედი მორატორიუმით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, ორგანული კანონის ამოქმედებამდე, გარდამავალ ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების ზოგიერთი საკითხი საჭიროებს მყისიერ მოწესრიგებას. აღნიშნული, ერთი მხრივ ხელს შეუწყობს პრაქტიკაში წარმოშობილ ობიექტური შემთხვევების სამართლიან გადაწყვეტას, ხოლო, მეორე მხრივ დააზღვევს იმ საფრთხეებს, რაც გარდამავალ ეტაპზე მიწის გასხვისების დროს შეიძლება შეიქმნას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მომზადების მიზანია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ისეთი ობიექტური შემთხვევების გათვალისწინება, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით და საბანკო საქმიანობის ფარგლებში განსაზღვრული პირობით, გარდამავალ ეტაპზე, მიენიჭებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების შეძენის ლეგიტიმური უფლებამოსილება.

ამასთან, კანონპროექტის მიზანია, საბანკო-საფინანსო სფეროს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და საბანკო პროდუქტების მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებულ პირთა ხელშეწყობა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევებში მიენიჭოს დისკრეციული უფლებამოსილება ზემოაღნიშნული მორატორიუმის მოქმედების განმავლობაში მიიღოს ლეგიტიმური გადაწყვეტილებები იმ დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ, რომლებთან მიმართებაშიც არსებობს დასაბუთებული აუცილებლობა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების მოპოვების თაობაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლს ემატება 3⁴ - 3⁶ პუნქტები, რომლის მიხედვითაც:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენის შეჩერების შესახებ დადგენილი მორატორიუმი გარდამავალ ეტაპზე არ გავრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება წარმოეშობათ საბანკო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს წარმოეშობათ ვალდებულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან 2 წლის ვადაში გაასხვისონ ის შესაბამის უფლებამოსილ პირზე.

- წარმოდგენილი ცვლილებით ასევე გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, მორატორიუმიდან

გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა შესაბამისი არგუმენტაციით უნდა მიმართოს დარგში პოლიტიკის განმახორციელებელ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებას, რომელმაც საკითხის შესწავლის შემდგომ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით და დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უნდა წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და ბიზნესომბუდსმენმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, ოთარ დანელია, დავით მათიკაშვილი, ეკა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, ირაკლი ბერაია, გიორგი ხატიძე, ივლიანე წულაია, გურამ მაჭარაშვილი და გიორგი კახიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ივლიანე წულაია.